

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.
3. პროგრამის მიზანი:
მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა.
4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა, ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება და უფასო სასადილოთი მომსახურება.
5. დამატებითი ინფორმაცია:
 - ა) დახმარებით (უფასო სასადილო) ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები პირები;
 - ბ) დახმარება პროგრამაში ჩართულ ყოველ ბენეფიციარზე გაიცემა დღეში ერთჯერადი კვების სახით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მენიუს შესაბამისად;
 - გ) დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა (მოწმობები), ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რეკომენდაცია/ შუამდგომლობა და ცნობა, ბენეფიციარის ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი მოკვლევისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები.
6. პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში შესაძლებელია ბენეფიციარებზე ან სოციალურად დაუცველ და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირებზე საჩუქრად გაიცეს საკვები პროდუქტები;
7. მოსალოდნელი შედეგი:
მზრუნველობამოკლებულთა მატერიალური და მორალური თანადგომა.
8. შეფასების კრიტერიუმები:
დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.